პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 მაისი სამშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 118 (15028)

ᲛᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲡ ᲘᲙᲠᲔᲑᲡ

ᲛᲐᲠᲗᲛᲐ პატრიოტული გრძნობები, ფიქრები სამშობლოს მომავლზე აღელვებს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა გულსა და გონებას ამ გაზაფხულის დღეებში, სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალი ჰორიზონტები გადაშალა, როცა საქართველოს მშრომელებმა იზეიმეს თავიანთი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი.

ახალმა ხუთწლედმა თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში გამოიწვია შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება, გაუღვიძა მასებს ახალი ძალები დიდი და სახელოვანი საქმეებისათვის. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, განიხილეს რა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა მაგალითისამებრ მიმდინარე წლისა და ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება მათ შესასრულებლად.

ᲕᲝᲨᲠᲝᲛᲝᲗ დაუცხრომელად, დღეს გავაკეთოთ მეტი და უკეთესი, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უფრო მეტი და უკეთესი, ვიდრე დღეს, — ასეთია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინრისა და ტექნიკოსის მისწრაფება.

სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ძალას იკრებს, იბადება ახალი ინიციატივები, ფართოვდება მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, მიმდინარე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს მრეწველობის მუშაობის ოთხი თვის შედეგები. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 104 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 7 პროცენტით.

ცხადია, ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი მიუძღვით რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს, რომლებმაც კარგად დაიწყეს ახალი წელი და გაბედულად მიდიან წინ ხუთწლედის პირველი წლის მოჭნებისაკენ. ამ საწარმოთა რიგებში არიან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნები, მაუდ-კამოლის და სართავსატრიოტაჟო კომბინატები, № 1 სამკერავლო ფაბრიკა, ქუთაისის საავტომობილო და ლითოფონის ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი და სხვ. აღნიშნულ საწარმოთა კოლექტივებმა საწარმოო ფართობის გაუდიდებლად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და პროდუქციის გამოშვების გადიდებას, ხარისხის გაუმჯობესებას, დაზოგეს დიდძალი ნედლეული და მასალები, მნიშვნელოვნად გადაჭარბეს მოგების გეგმას.

საქართველოს საწარმოთა კოლექტივების ოთხი თვის მუშაობის შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ მოწინავე საწარმოების გვერდით არ იყოს ჩამორჩენილები, რომლებიც თავიანთი უხეირო მუშაობით უკან სწევენ საერთო მაჩვენებლებს. ოთხი თვის გეგმა ვერ შეასრულეს და სამშობლოს დიდძალი პროდუქცია დაკარგეს ისეთმა მსხვილმა საწარმოებმა, როგორიც არის რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები, თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა, სოხუმის ქიმიური ქარხანა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღემატება.

არიან მეორე კატეგორიის საწარმოები, რომლებიც გეგმას ასრულებენ, მაგრამ ნაკლებ უურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხს, მასალების მომჭირნეობით ხარჯვას. მაგალითად, ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკამ პირველ კვარტალში გააუარესა პროდუქციის ხარისხი, ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ შემოწმებული საქონლის 20 პროცენტი დაიწუნა, ნაწილი მოსმარებისათვის უვარგისი იყო და საწარმოს უკან დაუბრუნა, ხოლო ნაწილი დაბალ ხარისხში გადაიყვანა. კიდევ უარესი მდგომარეობაა თბილისის სათამაშოების ფაბრიკაში. აქ იმდენად გააუარესეს ზოგიერთი პროდუქციის ხარისხი, რომ ინსპექცია იძულებული იყო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის აეკრძალა ზოგიერთი არტიკულის ნაწარმის მიღება. ანალოგიური არასახარბიელო მდგომარეობა აქვს სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატს.

სკკპ XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში თქვა: „რა თქმა უნდა, რაოდენობრივი მხარე ჩვენთვის ახლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი უფრო სწულად და თანმიმდევრულად უნდა შეეხსნას პროდუქციის ხარისხისა და საწარმოს საქმიანობის ეკონომიური მხარის მაჩვენებლებით“.

ვალდებულებებში მთავარ საკითხად საწარმოს ეფექტიანობის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება არის შეტანილი. სხვანაირად არც შეიძლება, გეგმა უნდა შესრულდეს ყველა ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. ნაკლისი ვალდებულებები რეალურია. ახლა მთავარია ავამოქმედოთ ყველა რეზერვი მათი განაღდებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებული შეჯიბრების მოწინავეებმა კარგი დახმარება მისცეს ხუთწლედს. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა უფრო ფართოდ გაავრცელონ მათი გამოცდილება, მხარი დაუჭირონ და დანერგონ თვითეული სასარგებლო წამოწყება, ღრმა ანალიზი გაუკეთონ იმას, რაც გაკეთდა და რაც უნდა გაკეთდეს წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ნაკლისი ვალდებულებების შესასრულებლად.

პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მიზანი უნდა იყოს მუშათა კოლექტივების შემოქმედებითი ენერგიის ყოველი ღონისძიებებით განვითარება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მატერიალური და სულიერი ძალების ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მუშათა კლასი ხუთწლიან გეგმას შეხვდა როგორც თავის მშობლიური, ღვიძილ საქმეს და მტკიცედ იბრძვის მისი განხორციელებისათვის, ავსებს დამატებით რეზერვებს მიმდინარე წლისა და ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სარეწველო საწარმოთა მშრომელები საბჭოთა საქართველოს სახელოვანი იუბილეს შემდეგ კიდევ უფრო აძლიერებენ შრომითს ტემპს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სკკპ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲞᲠᲐᲰᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

24 მაისს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე მოსკოვიდან პრაღას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ტ. მაცტუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. პ. რაბაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ამხ. ს. ვ. ჩერვონენკო.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა პ. ვ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, თ. დ. კულაკოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ბ. ნ. დეკანოზოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა. (საკვლისი).

პრაღა, 24 მაისი. (საკვლისი). დღეს აქ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

აეროდრომზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას ეგებნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი და სხვები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას გულთბილად შეხვდნენ აეროდრომზე შეკრებილი პრაღის მშრომელთა წარმომადგენლები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ VII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით ქართული სასცენო ხელოვნების ყველა ოსტატს, გისურვებთ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოსა და სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VII ყრილობა შეიკრება ღირსსახსოვარ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXIV ყრილობის დადგენილებებით აღფრთოვანებული რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ქართველი ხალხის პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას ახალი მძლავრი სტიმული მისცა მთავრობის მაღალმა ჯილდომ — ოქტომბრის რევოლუციის ორდენმა, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკა დაჯილდოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის საზეიმო დღეებში.

ქართული თეატრი მუდამ პროგრესულ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ეროვნული თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტი აღორძინება და განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხდა შესაძლებელი. განვლილი 50 წელი — ეს იყო ქართული თეატრის სახელოვანი ტრადიციების გამდიდრების, შემოქმედებითი დონის ამაღლებისა და საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფის წლები. ის ფაქტი, რომ ქართულმა თეატრმა ავტორიტეტი მოიპოვა და მაღალი შეფასება დაიმსახურა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ყურადღებასა და ზრუნვას თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ქართული საბჭოთა თეატრი მუდამ იყო, არის და იქნება პარტიის ერთგული თანამეშეკი, მისი იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია თეატრის მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლებისა და მათთვის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პირობების შექმნისათვის.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, გამლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში, კიდევ უფრო მაღლდება ხელოვნების როლი მშრომელთა იდეიური აღზრდის საქმეში.

„საბჭოთა ხალხი, — ნათქვამია სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, — დაინტერესებულია ისეთი ნაწარმოებების შექმნით, რომლებშიც სიმართლით იქნება ასახული სინამდვილე, მაღალი მხატვრული ძალით დამკვიდრდება კომუნიზმის იდეები“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს თეატრები კვლავაც სიმართლით, თავაზნებით, მაღალმხატვრულად ასახავენ ქართველი ხალხის თავდადებულ შრომას, რეალისტურად წარმოგვიდგენენ ჩვენი ყოფის სიდიადეს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო სახალხო საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲰᲗᲐ გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ან

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხელმძღვანელობენ

ბრძანებულება და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:**

თევდორაშვილს ალექსანდრე ესტატეს-ძე — თბილისის ქარხანა „პლასმასის“ მთავარი ტექნოლოგის მოადგილეს.

თევდორაძეს დავით იასონის-ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მოპირკეთების სამუშაოების № 28 მოძრავი მექანიზირებული კოლონის უფროსს.

თვარაძეს ივთანდილ ივანეს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ საამქროს უფროსს.

თოდუას როსტომ ალფეზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის უფროსს.

იაგორსკის რიჩარდ ანტონის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უფროს ინჟინერს.

იაროვას ოლოა ნიკოლოზის ასულს — პენსიონერს.

იაჯიანს გიორგი აკოფის-ძე თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის უფროს ინჟინერ-ტექნოლოგს.

იაშვილს დავით კონსტანტინეს-ძე — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

იაშვილს კაპიტონ ელიაზარის-ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 14 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

იბერაურას ვლადიმერ კუზმას-ძე — მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების საქართველოს ინსტიტუტის „საქგიპრომეზის“ პროექტის მთავარ ინჟინერს.

ივანოვას ვალენტინა ნიკოლოზის ასულს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქკვებმრეწსახპროექტის“ საკონსტრუქტორო ბიუროს სექტორის უფროსს.

იზიუმსკის ალექსანდრე გიორგის-ძე — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური სამმართველოს ბიუროს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

იოსელიანს სერგო ვარლამის-ძე — წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროს ინჟინერს.

კაზახაშვილს გიორგი ზაქარიას-ძე — საქართველოს სსრ ხეტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს განყოფილების უფროსს.

კაკაბაძეს ამბროსი ნესტორის-ძეს — თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ განყოფილების უფროსს.

კაკულიას ირაკლი ბეგლარის-ძეს — ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირების საკავშირო ინსტიტუტის „ორგენერგომშენის“ თბილისის ფილიალის მთავარ სპეციალისტს.

კაკუშაძეს დავით ისიდორეს-ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ მთავარ სპეციალისტს.

კალაძეს ბიქტორი ილიას-ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის საამქროს უფროსს.

კალაძეს ვლადიმერ ილიას-ძეს — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის მთავარ ინჟინერს.

კალანდადაძეს ალექსანდრე მოსეს-ძეს — პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს შრომის დაცვის თბილისის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.

კალანდაძეს გივი ერმილეს-ძეს — თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ დირექტორის მოადგილეს.

კანკავას ილია ბესარიონის-ძეს — ტრესტ „საქჩაის“ ზუგდიდის ჩაის საწნახი ფაბრიკის დირექტორს.

კანკიას რაფიელ მიხეილის-ძეს — გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმო სამმართველოს უფროს ინჟინერს.

კაპანაძეს დავით ამბაკოს-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ განყოფილების უფროსს.

კასრაძეს ვახტანგ გრიგოლის-ძეს — „ენგურჰესის“ მშენებლობის სამმართველოს „გვირაბმშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

კაციტაიას იოსებ ბაბრიელის-ძეს — სოხუმის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის მთავარ ენერგეტიკოსს.

კაჭკაჭიშვილს პეტრე ალექსანდრეს-ძეს — „საქმთავენერგოს“ ტყიბულჩეხის დირექტორს.

კახიძეს ბორის ვალერიანეს-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 4 ავტოსატრანსპორტო ტრესტის მთავარ ინჟინერს.

კევლიშვილს ვასილ სოლომონის-ძეს — „სამტრესტის“ თბილისის ღვინის № 1 ქარხნის მთავარ მექანიკოსს.

კეკუას სოკრატ გაბრიელის-ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქკვებრეგმშენის“ უფროს ინჟინერს.

კერესელიძეს გივი ალექსანდრეს-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

კეშელმაძეს ლუდმილა მიხეილის ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი წარმოების საამქროს უფროსს.

კვარაცხელიას სერაფიონ მალაქიას-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კალინინის სახელობის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 115, 117.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, სამშაბათი, 25 მაისი, 1971 წ.

მაღაროთსამმართველოს დირექტორს.

კვეტაძეს ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს — „თბილჰიდროპროექტის“ განყოფილების უფროს ინჟინერს.

კვეტენაძეს შალვა მიხეილის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსს.

კვიციანაძეს ილია ილიას-ძეს — საქართველოს სსრ სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქმარმარილოს“ განყოფილების უფროსს.

კვიციანაძეს გივი ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ფართე-პანელიანი სახლთმშენებლობის ტრესტის მმართველს.

კიზირიას კიტა ნოეს-ძეს — „კომბინატ „საქნახშირის“ ტყვარჩელის № 2 შახტის უფროსს.

კირვალიძეს მიხეილ სიმონის-ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქსახწყალპროექტის“ პროექტის მთავარ ინჟინერს.

კირტავას ამირან ონისიმეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მთავარ ინჟინერს.

კირტავას გივი ონისიმეს-ძეს — ცეკავშირის სამშენებლო ტრესტ „საქკოთმშენის“ მმართველს.

კლდიაშვილს რევაზ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრემმშენის“ მთავარ ინჟინერს.

კლდიაშვილს შალვა სიმონის-ძეს — საქართველოს სამთოტექზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის სამთო ტექნიკური ინსპექციის უფროსს.

კობალაძეს ლევან ბარნაბის-ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

კობახიძეს ლევან ვალერიანის-ძეს — „საქმთავენერგოს“ თბილისის თბოქსელის დირექტორს.

კობახიძეს ნიკოლოზ პარმენის-ძეს — თბილისის № 2 ლუდის ქარხნის დირექტორს.

კობიაშვილს ამირან ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს.

კობიძეს ევგენი ნიკოლოზის-ძეს — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგზაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსს.

კოკაია ვალერიან ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსს.

კოკაია ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 24 მოძრავი მექანიზირებული კოლონის უფროსს.

კოლპაკოვს სტეფანე ტიმოთეს-ძეს — საქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს სასწავლო-სავარჯიშო რაზმის მეთაურის მოადგილეს.

კონტრიძეს კასიანე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს სამშენებლო ობიექტების გაერთიანებული დირექციის დირექტორს.

კორტავა ამირან ონისიმეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მთავარ ინჟინერს.

კირტავას გივი ონისიმეს-ძეს — ცეკავშირის სამშენებლო ტრესტ „საქკოთმშენის“ მმართველს.

კლდიაშვილს რევაზ ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრემმშენის“ მთავარ ინჟინერს.

კლდიაშვილს შალვა სიმონის-ძეს — საქართველოს სამთოტექზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის სამთო ტექნიკური ინსპექციის უფროსს.

კობალაძეს ლევან ბარნაბის-ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

კომბახიძეს ლევან ვალერიანის-ძეს — „საქმთავენერგოს“ თბილისის თბოქსელის დირექტორს.

კომბიაშვილს ამირან ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს.

კობიძეს ევგენი ნიკოლოზის-ძეს — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგზაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსს.

კოკაია ვალერიან ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსს.

კოკორეიშვილი ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 24 მოძრავი მექანიზირებული კოლონის უფროსს.

კოლპაკოვს სტეფანე ტიმოთეს-ძეს — საქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს სასწავლო-სავარჯიშო რაზმის მეთაურის მოადგილეს.

კონტრიძეს კასიანე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს სამშენებლო ობიექტების გაერთიანებული დირექციის დირექტორს.

კორტავა ამირან ონისიმეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მთავარ ინჟინერს.

**კორტავა

25 მაისი აფრიკის განთავისუფლების დღეა

მრავალფეროვანია აფრიკის პოლიტიკური რუკა, საზეიმოდ აღმართულა მისი დროშები. ნათელ დღედ არის ჩაწერილი მის ისტორიაში 25 მაისი. რვა წლის წინათ შავი კონტინენტის ოცდაათზე მეტი ქვეყნის ხელმძღვანელებმა ადის-აბებაში მიიღეს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ქარტია. ამ თარიღს ყოველწლიურად აღნიშნავენ აფრიკელები, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა როგორც აფრიკის განთავისუფლების დღეს.

ახალი აფრიკა გზაჯვარედინზე დგას. კოლონიურმა ბატონობამ მძიმე მემკვიდრეობა დატოვა, წინ მრავალი სიძნელეა გადასალახავი. ახალ აფრიკას ყოველთვის ახსოვს, რომ ჩაგვრის ბორკილებში ჯერ კიდევ იტანჯება 30 მილიონამდე მათი მოძმე, კოლონიალიზმისა და რასიზმის უკანასკნელი პლაცდარმების ლიკვიდაცია აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ამოცანაა.

დღეს, როდესაც ამერიკის იმპერიალიზმი კიდევ უფრო აღვივებს ომის ჩარცეცლს. ინდოჩინეთში, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის ისრაელის აგრესიის შედეგები, იმპერიალისტები აფრიკის კონტინენტზეც ამლიერებენ შეტევას. ისინი ცდილობენ სულ უფრო ღრმად შეიჭრან ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნების განვითარებად ეკონომიკაში, თავს მოახვიონ მათ თავიანთი იდეოლოგია, გათიშონ თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგები.

ყველაფერი ეს მოითხოვს აფრიკის პროგრესული ძალების კოორდინაციასა და შეკავშირებას, ანტიიმპერიალისტური ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას. აფრიკის ხალხებმა იციან, რომ ამ სამართლიან ბრძოლაში ისინი ყოველთვის პოულობდნენ და პოულობენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიურ მხარდაჭერას.

იმპერიალიზმის ცდები თავის სასარგებლოდ შემოაბრუნონ ისტორიის მსვლელობა — განწირულია ჩასაფუშავად.

თავისუფლებისათვის მებრძოლი

ე. ჰონეკერის გამოსვლა

24 მაისი. (საკდესი). გამოვიდა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ჰონეკერმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის იმ მეგობრული ვიზიტის შედეგებს, რომელიც 18 მაისს გაიმართა.

მან გულითადი მადლობა უძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური დახმარების გაწევისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა დიდი მნიშვნელობა მშვიდობის პროგრამისა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, და გახაცხადა, რომ „ეს პროგრამა რეალურია“, რადგან ემყარება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების, მათ შორის აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ძალასა და ძლიერებას“.

ილაპარაკა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აქტიურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკაზე, ე. ჰონეკერმა აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკა ემსახურება ანტიიმპერიალისტური ბრძოლის, უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწყობისათვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სახელმწიფოებს, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებისათვის ბრძოლის საერთო საქმეს.

ჩვენი პარტია, ხაზი გაუსვა ე. ჰონეკერმა, აკლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა გააძლიეროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობა და განამტკიცოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. სსრ კავშირთან და გერმანელ ხელშეკრულების წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მოეპოვება ყველა შესაძლებლობა, რათა წინააღმდეგეს იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას.

ოფიციალური აღიარება

ნიუ-იორკი

24 მაისი. (საკდესი). ყოველკვირეული „მანსლი ლეიბორ რევიუ“, რომელსაც უშვებს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრო, აღიარებს, რომ განუხრელად იზრდება საბჭოთა მუშების მყიდველობითი უნარი, ხოლო სსრ კავშირის პოლიტიკა ფასებისა და ხელფასის დარგში მიზნად ისახავს უზრუნველყოს ფასების სტაბილობა და ხელფასის ყოველწლიური მატება.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მოქალაქეებს უფასო საგანმანათლებლო მომსახურება, განათლება და სხვა მომსახურება აქვთ. გარდა ამისა, სსრ კავშირში დაბალია ბინის ქირა.

გაზეთი „დეილი უორლდი“ აშუქებს მთავრობის ოფიციალური ორგანოს ამ განცხადებას და წერს: განა შეუძლია ამერიკელ მუშას წარმოიდგინოს, რომ საბჭოთა კავშირში ბინის ქირა იმაზე ნაკლებია, რასაც ჩვენ გათბობისა და სინათლის საფასურს ვიხდით, ხოლო სამემოსავლო გადასახადი იქ განუხრელად მცირდება? ჩვენში, შეერთებულ შტატებში, სწორედ საწინააღმდეგო ტენდენციაა: ფასები განუწყვეტლივ მატულობს, სხვადასხვა გზით ზრდიან გადასახადებს, სწრაფად იზრდება სამედიცინო მომსახურების ღირებულება, ხოლო ბინის ქირა შთამქავს მუშათა ხელფასის ნახევარს.

ოლიმპიადა

● **1971 წლის 18-დან 22 მაისამდე გვინეის რესპუბლიკაში გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს მიწვევით მეგობრობის ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. რასულოვი.**

● **პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 20-22 მაისს პოლონეთში იმყოფებოდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კ. ბახმანი.**

● **ვარშავაში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ს. ენდრიხოვსკისა და ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრ კ. ალმეიდა მედინას შორის, რომელიც მესი მოწვევით იმყოფება ვარშავაში.**

● **ბელგიაში ოფიციალური სამი დღის ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ. ვიზიტის დროს იგი განიხილავს პოლიტიკურ და სხვა პრობლემებს ბელგიის მთავრობის წევრებთან ერთად.**

● **ავტომაბილის სროლისა და ბომბების აფეთქების ხმა ყველგან გაისმოდა ბელფასტის ქუჩებში. სროლის დროს „ტერორისტებმა“ დაჭრეს პოლიციელი. ერთ-ერთი ბომბი აფეთქდა პოლიციელთა მანქანა. კანონისა და წესრიგის დასაცავად „სამხედრო ღონისძიებათა გაძლიერებამ, რასაც მთავრობის სათავეში ფოლკნერის ჩადგომის შემდეგ მიმართავენ, ვერ აღადგინა მშვიდობა.**

● **მესამე დღეა ამერიკის ქალაქ ჩატანუგაში (ტენესის შტატი) გრძელდება რასობრივი მღელვარება. ქალაქის სხვადასხვა რაიონებში ხდება შეიარაღებულ პოლიციელთა და ზანგი მოსახლეობის შეტაკებანი. ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. პოლიციისა და ეროვნული გვარდიის გაძლიერებული რაზმები პატრულობენ ზანგთა უბნებს. დაპატიმრებულია 150-ზე მეტი კაცი.**

● **მექსიკაში და კოსტარიკამ გადაწყვიტეს ერთად აწარმოონ ბრძოლა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში არათანასწორუფლებიანი პირობების წინააღმდეგ. ეს ნათქვამია კომუნიკეში, რომელსაც აქ ხელი მოაწერეს ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა, როცა დამთავრდა კოსტარიკის პრეზიდენტის ხოსე ფიგერესის ვიზიტი მექსიკაში. მექსიკის პრეზიდენტმა ლუის ეჩევერიამ და კოსტარიკის პრეზიდენტმა ხოსე ფიგერესმა მოიწონეს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს შექმნან ერთიანი ფრონტი „საკარო ვაჭრობაში კოლონიალიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად.**

საკდესი-ასოშიეიტედ პრესი.

ფაქტები

რომი

ეტნა ბოგოძრობს

24 მაისი. (საკდესი) ეტნის ძირას განლაგებული დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი შეშფოთებული არიან, რომ ლავის ნაკადები მიაღწევს მათ სახლებამდე.

ეტნის ვულკანურმა მოქმედებამ, რომელიც 5 აპრილს განახლდა, უკვე დიდი ზარალი გამოიწვია: მოსპო ასობით ჰექტარი ვენახები და ბაღები, დაანგრია 35 სასოფლო-სამეურნეო ნაგებობა, ხიდები და გზები. ამოფრქვევიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ეტნა თითქოს დაცხრა და ლავის ნაკადები გაცივდა. 9 მაისიდან ნაკადები მხოლოდ 300 მეტრ მანძილზე დაეშვა.

მაგრამ დღეს ეტნის ფერდობზე კვლავ წამოვიდა ვულკანის მწვერვალზე წარმოქმნილი ნაპრალებიდან ამოხეთქილი ლავის ახალი გავარვარებული ნაკადები. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ეს ნაკადები საათში 70 მეტრი სიჩქარით მოძრაობს და, უწინარეს ყოვლისა, წალეკვით ემუქრება სოფელ ფორნაცოს, სადაც 290 კაცი ცხოვრობს.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

(დასასრული).

ჭუმბურიძეს ვლადიმერ არტემონის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსს.

ჭუმბურიძეს ქაიხოსრო გიორგის-ძეს — თბილისის ხის დამამუშავებელი კომბინატის განყოფილების უფროსს.

ხაბიშვილს დავით პორფილეს-ძეს — თბილისის ოქტომბრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს ინჟინერს.

ხაიდუკოვს ალექსანდრე პავლეს-ძეს — სამხედრო მოსამსახურეს.

ხანანაშვილს ალბერტ სიმონის-ძეს — „საქმაბტმშენის“ № 7 ტრესტის „მაღნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

ხანიკაევს თამარ ნიკოლოზის ასულს — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს № 2 აგურის საამქროს უფროსს.

ხარაიძეს შალვა ვლასის-ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროს ინჟინერს.

ხარატიშვილს იოსებ ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრს.

ხარებავას ვახტანგ ივანეს-ძეს — ქუთაისის ორკონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორს.

ხაფავას უშანგი ვლადიმერის-ძეს — ტრესტ „საქთამბაქოს“ მთავარ ტექნოლოგს.

ხაჩიძეს აკაკი ალექსის-ძეს — თბილისის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საამქროს უფროსს.

ხელაშვილს ვსევოლოდ გიორგის-ძეს — ტრესტ „საქკომუნრემმშენის“ სპეციალიზირებული სარემონტო სამშენებლო სამმართველოს წარმოების უფროსს.

ხიდეშელს ვიქტორ ონისიმეს-ძეს — პენსიონერს.

ხომასურიძეს თამარ ზაქარიას ასულს — თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის განყოფილების ჯგუფის ტექნოლოგს.

ხომიკოვას ვალენტინა ექვთიმეს ასულს — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სამმართველოს უფროს ინჟინერს.

ხოსიტაშვილს თენგიზ პავლეს-ძეს — ცეკავშირის მატერიალური მომარაგების ტრანსპორტის და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსს.

ხუნდაძეს მიხეილ ოლიფანტეს-ძეს — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ინჟინერს.

ხუროძეს ილია სარდიონის-ძეს — საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამეურნეო განყოფილების გარაჟის გამგეს.

ხუციევს ირინა ლევანის ასულს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

ხუციშვილს ალექსანდრე ზაქარიას-ძეს — „საქმთავენრგოს“ ქარხანა „საქენერგორემონტის“ დირექტორს.

ხუმუას კირილე მაქსიმეს-ძეს სამტრედიის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროს ინჟინერს.

ხუხუნაიშვილის გიორგი დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქჩაის“ ჩაქვის ჩაის საწნები ფაბრიკის დირექტორს.

ხანაშიას გენო იოსების-ძეს — თბილისის ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკა „ისანის“ დირექტორს.

ჯანაშიას გრიგოლ იოსების-ძეს — ქუთაისის ტყავფეხსაცმელ კომბინატის მთავარ ინჟინერს.

ჯანაშვილს დავით არონის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საპროფტო-ხარჯაღრიცხვის კანტორის უფროსის მოადგილეს.

ჯანეზაშვილს ვასილ სერგოს-ძეს — „ენეურჰესის“ მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერის მოადგილეს.

ჯანიაშვილს გიორგი იოსების-ძეს — უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო საწარმოო წამოწყების მთავარ ინჟინერს.

ჯაფარიძეს გიორგი სპირიდონის-ძეს — „საქმთავენერგოს“ თბილისის ელექტროქსელის სამსახურის უფროსს.

ჯაფარიძეს უშანგი რეფიკის-ძეს — აჭარის პროფკავშირების კურორტების მთავარის საბჭოს საერმონტო სამმართველოს უფროსს.

ჯაფარიძეს ლეონიდე სპირიდონის-ძეს — ტრესტ „საქსამთოქმის“ საწარმოო განყოფილების უფროსს.

ჯაუელს გაიოზ აკაკის-ძეს — „თბილგეგირაბმშენის“ № 212 ხიდების სამშენებლო მატარებლის უფროსს.

ჯეჯელავას ჯუანშერ ივანეს-ძეს — სსრკ კვების მრეწველობის სამინისტროს ამიერკავკასიის სპეციალიზირებული გამშვებ-გამმართველი სამმართველოს უფროსს.

ჯვარშეიშვილს აკაკი პავლეს-ძეს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

ჯიბლაძეს აკაკი პროკოფის-ძეს — მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „პტნიმის“ განყოფილების უფროსს.

ჯიქიას ვაჟა თადეოზის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალური ტრესტის № 8 მექანიზაციის სამმართველოს უფროსს.

ჯიქიძეს ალექსანდრე პორფილეს-ძეს — პენსიონერს.

ჯორჯაძეს გივი გიორგის-ძეს — თბილისის № 7 პურის ქარხნის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი
1971 წლის 18 მაისი.

ინდოეთში

24 მაისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის დედაქალაქში გაიხსნა ახალი მოწვევის პარლამენტის ზაფხულის, ეგრეთწოდებული „საბიუჯეტო“ სესია.

პარლამენტის შემადგენლობა მნიშვნელოვანწილად განახლდა: სახალხო პალატის წევრთა ორი მესამედი მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის წარმომადგენლები არიან, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი.

ტოკიო

იზრდება სამხედრო სარჯები

24 მაისი. (საკდესი). დღეს იაპონიის დედაქალაქში დამთავრდა იაპონიის პარლამენტის მორიგი, 65-ე სესია.

სესიის მუშაობისათვის განკუთვნილი 150 დღის მანძილზე პარლამენტის დეპუტატებმა განიხილეს იაპონიის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

პარლამენტის ლიბერალურ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ მრავწია იმას, რომ დაამტკიცეს მომდინარე საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი გადიდება. ოპოზიციის დეპუტატებმა მთავრობისათვის მიცემულ შეკითხვებში მკვეთრად გააკრიტიკეს ახლადდადებული კაბინეტის პოლიტიკა პროამერიკული საგარეოპოლიტიკური კურსისათვის, მთავრობის კანონპროექტების ანტიხალხური ხასიათისათვის, რომელთაგან ბევრი ოპოზიციის წინააღმდეგობის გამო არ მოიწონეს სესიაზე.

კრაკოვ

ჩეხოსლოვაკია ყრილობის წინ

24 მაისი. (საკდესი). სადღესასწაულო განწყობილება სუფევს დღეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქებსა და სოფლებში, პრაღის ხაზეიმო მორთულობაში ჩეხოსლოვაკიის სამფეროვან და წითელ პარტიულ დროშებს შორის გამოირჩევა ორი ციფრი „50“ და „XIV“, ეს ციფრები მოჰხმს პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე, სადღესასწაულოდ მორთულ ვიტრინებში, პრაღის სახლების კედლებზე.

ამ ციფრებს ნახავთ დღეს ფურნალების გარეკანზე, გაზეთების პირველ გვერდზე, კინოქრონიკის გამოშვებაში, ტელევიზორთა ეკრანებზე. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს აღნიშნავენ სწორედ იმ დღეებში, როცა რესპუბლიკა ემზადება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მორიგი XIV ყრილობისათვის.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა ფორუმი ხვალ დაიწყება მუშაობას. სადღესასწაულოდ მორთულ ყრილობათა სახლში ი. ფუჩიკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შეიკრიბებიან დელეგატები, რომლებიც კომუნისტებმა აირჩიეს საოლქო და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე.

უკვე ჩამოვიდნენ ყრილობის პირველი სტუმრები — სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლნი. ყრილობის პრეზიდიუმში უკვე გატარდნენ რეგისტრაციაში პირველი საზღვარგარეთელი კორესპონდენტები, რომლებიც ჩამოვიდნენ, რათა გააშუქონ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა წარმომადგენლობითი კრების მუშაობა.

24 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო საბჭოთა ზეგეკრითმა სამგზავრო თვითმფრინავმა „ტუ-144“-მა, რომელიც გუშინ ჩამოფრინდა პრაღაში. ათასობით ადამიანი ეწვია გუშინ პრაღის აეროპორტს, სადაც გაეცნენ თვითმფრინავს, რომელიც საავიაციო ტექნიკის უახლესი მიღწევაა.

დღის დილით „ტუ-144“ ზეგეკრითი ლაინერი დათვალიერეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, ჩეხოსლოვაკიის სხვა თვალსაჩინო პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა.

ინგლისელი მეცნიერის უთანხმოებანი

ხუთ დღეს იმყოფებოდა სტუმრად თბილისში თვალსაჩინო ინგლისელი მეცნიერი, ლონდონის უნივერსიტეტის თვალის ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების დირექტორი, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტი, პროფესორი ბარი ჯონსი. იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოწვევით.

ინგლისელი მედიკოსი საქართველოში გაეცნო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობას, მეცნიერულ კვლევას თვალის სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

პროფესორი ბარი ჯონსი დაესწრო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგის დოცენტ ნ. ბერაძის, პროფესორ ჯ. ანთელავას, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვ. კონტრიძის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბერაძის ოპერაციებს და მაღალი შეფასება მისცა ქართველ ოფთალმოქირურგთა მუშაობას.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ინგლისელმა მეცნიერმა განაცხადა:

— ჯერ კიდევ ინგლისში ვიცოდი, თუ რა მიღწევები აქვთ საბჭოთა მედიკოსებს რეოვანას გადანერგვისა და თვალის ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, და მაღალი წარმოდგენა მქონდა მათზე. თქვენმა მეცნიერებმა დიდი მუშაობა გასწიეს ტრაქომის სრული ლიკვიდაციისა და თვალის მძიმე დაავადების — გლაუკომის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პროფილაქტიკური სამკურნალო დახმარების ორგანიზაცია სსრ კავშირში. თქვენს თვალის სამკურნალო დისპანსერებში ყოველთვის შეიძლება კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება.

რამდენიმე თვის განმავლობაში შესაძლებლობა მქონდა ჩემს სამშობლოში მემუშავა ქართველ პროფესორ ჯ. ანთელავასთან ერთად. თქვენი ოფთალმოლოგების ნაშრომთა უფრო ახლოს გაცნობა საშუალებას მაძლევს კმაყოფილებით ვთქვა, რომ ჩვენ ძირითადად მკურნალობის ერთსა და იმავე მეთოდებს ვიყენებთ და ერთნაირად ვუდგებით ოფთალმოლოგიის თანამედროვე პრობლემებს.

მინდა მადლობა გადავუხადო ქართველ მედიკოსებს იმ გულითადი მასპინძლობისა და ყურადღებისათვის, რომლითაც ვიყავით გარემოსილი თქვენს შესანიშნავ რესპუბლიკაში ყოფნის დროს.

(საქდესი).

მსოფლიო დღეს

დედაქალაქის კეიზაჭები

დიღმის მასივი.

ფოტო რ. კაკაბაძისა და მ. დათიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ გუშინდელი ფოსტიდან

სკოლები შენდება

● დამთავრდა საშუალო სკოლის ტიპური შენობის მშენებლობა სოფელ ბოდბისხევში, რვაწლიანი სკოლისა — ხირსაში. ორიქე შენობაში მომავალი სასწავლო წლის სექტემბრისათვის დაირეკება პირველი ზარი.

სწრაფი ტემპით შენდება და ახალი სასწავლო წლიდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქ. წნორის მესამე საშუალო სკოლის ახალი შენობა.

საშუალო სკოლების ტიპური შენობების მშენებლობა დაწყებულია სოფლებში ნუკრიანში, საქობოში და სხვ. რაიონში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მეცადინეობა სკოლებში ერთეულიანი იყოს.

ა. შარმიაშვილი.

ალზრდის ძერა

● ახლახან, საბჭოთა საქართველოს საიუბილეო დღეებში, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში გაიხსნა საბავშვო ბაღი (გამგე რ. ჩიკვაიძე), რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო თანამედროვე ინვენტარ-მოწყობილობით.

ო. სახვეიშვილი.

ს პ ო რ ტ ი

პრეტენდენტთა მატჩები

მოსკოვში ექს-ჩემპიონმა ჰადრაკში ტ. პეტროსიანმა პრეტენდენტთა მეოთხეფინალური მატჩის მეშვიდე პარტიაში შავებით დაამარცხა რ. ჰიუბნერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ამრიგად, ამ მატჩში, რომელიც სევილიაში მიმდინარეობს, ანგარიში გახდა 4:3 საბჭოთა გროსმაისტრის სასარგებლოდ.

ლას-პალმასში დანიელმა ბ. ლარსენმა თავის აქტივში ჩაიწერა მეოთხე ქულა, დაამარცხა რა ვ. ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). წინ არის ბ. ლარსენი — 4:2.

ვანკუვერში მ. ტალიანოვის პარტია რ. ფიშერთან (ამერიკის შეერთებული შტატები) გადატანილია 25 მაისისათვის ლენინგრადელი გროსმაისტერის ავადმყოფობის გამო. (საქდესი).

მოსკოვში პრეტენდენტთა მეოთხეფინალური მატჩი აქვთ საბჭოთა გროსმაისტერებს ვ. კორჩნოისა და ე. გელერს. გუშინ შედგა ამ მოჭადრაკეთა მეექვსე პარტია. 27-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 ვ. კორჩნოის სასარგებლოდ.

საზონთაშორისო...

ბელგრადი, 24 მაისი. (საქდესი). თბილისელი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია კვლავ სათავეში მოექცა იმ საზონთაშორისო ტურნირის ცხრილში, რომელიც ქალაქ ოხრიდში მიმდინარეობს. ეს მოხდა „დიდი გადათამაშების“ დღის შემდეგ. ალექსანდრიამ, რომელიც შავებით თამაშობდა, ორ პარტიაში კოზლოვსკაიასთან და ჟ. იოვანოვიჩთან (იუგოსლავია), ყაიმს მიაღწია. ამრიგად ლიდერს 12 ტურის შემდეგ 9 ქულა აქვს.

ამავე დღეს ზატულოვსკაიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრები იუგოსლავ შატალოვთან და რუმინელ პოლიკრონიადისთან. ზატულოვსკაიას ერთი პარტია აქვს დასამთავრებელი ჟ. იოვანოვიჩთან. ახლა 7,5 ქულით იგი მეოთხე ადგილზეა. კოზლოვსკაია-ჯრეხნერის (ამერიკის შეერთებული შტატები) პარტია ყაიმით დამთავრდა. საბჭოთა მოჭადრაკე შვიდი ქულით მეშვიდე ადგილზეა. რუბცოვამ მოუგო უნგრელ ივანკას და 5,5 ქულა დააგროვა.

სპარტაკიადის დღეები თბილისში

თბილისის სპორტულ ბაზებზე ფრიალებს ნაირფერი ალმები, მიმდინარეობს საქართველოს მეხუთე სპარტაკიადა. შეხვედრები გამოირჩევა მასობრივობით, მაღალი შედეგებით. სტარტი ჩინებული გამოდგა, უკან დარჩა ასპარეზობები ცხენოსნობაში, აეროსნობაში, ტანვარჯიშში, ჰიდაობა ხმობაში, წყალბურთში, კოცვში, თანამედროვე ხუთჭიდში.

კვირას დაამთავრეს შეხვედრები ტანმოვარჯიშეებმა. ხუთ დღეს გრძელდებოდა ეს ასპარეზობა თბილისის განათლების განყოფილების სპორტულ დარბაზში. როგორც მოსალოდნელი იყო გუნდურ ასპარეზობაში წარმატება თბილისელ ტანმოვარჯიშე ქალებსა და ვაჟებს ხვდათ. ქალებმა 389,23 ქულა შეაგროვეს, ვაჟებმა — 537,055 ქულა. აი როგორ განაწილდა მომდევნო ადგილები: ქალები — ქუთაისი — 348,131 ქულა, აფხაზეთი — 347,505 ქულა, ვაჟები — აჭარა — 510,792 ქულა, ქუთაისი — 508,596 ქულა. წინადღით ცნობილი გახდა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ქალთა შორის. ეს ტიტული მოიპოვა ბათუმელმა ტანმოვარჯიშე რ. სიხარულიძემ, რომელმაც 76,2 ქულა შეაგროვა. ვერცხლის პრიზიორი გახდა მ. მონიავა (თბილისი) — 72,95 ქულა, ბრინჯაოსი — ლ. ლაპისტოვა (თბილისი) — 70,95 ქულა.

კვირის ასპარეზობას უნდა გამოევლინებინა ჩემპიონები ცალკეულ იარაღებზე. ვაჟთა შორის წარმატებით გამოვიდა თბილისელი ტანმოვარჯიშე მ. ბოგუსი. იგი უძლიერესი იყო რგოლებზე, ორძელზე, ღერძზე ვარჯიშში, ხტომებში. რგოლებზე ვარჯიშში მ. ბოგუსმა მიიღო შეფასება — 18,525 ქულა, ორძელზე ვარჯიშში — 18,45 ქულა, ღერძზე ვარჯიშში — 18,15 ქულა, ხტომებში — 17,85 ქულა. ტაიჭზე ვარჯიშში უველას აჯობა ბათუმელმა შ. აზარაშვილმა — 17,875 ქულა. თავისუფალ ვარჯიშში პირველობა არ გათამაშებულა, რადგან ამ სახეობაში სპორტსმენებს ნორმატივი არ შეუსრულებიათ.

ქალთა შორის ჩინებულად გამოვიდა რ. სიხარულიძე, რომელმაც ოთხივე იარაღზე პირველობა არავის დაუთმო. მისი შედეგებია: ხტომებში — 18.525 ქულა, ნაირსამალლის ორძელზე ვარჯიშში — 19,125 ქულა, დვირზე ვარჯიშში — 19,075 ქულა, თავისუფალ ვარჯიშში — 18,225 ქულა.

ხუთ დღეს გრძელდებოდა ასპარეზობა თანამედროვე ხუთჭიდში. მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდები. ისევე, როგორც ტანვარჯიშში, აქაც თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და გუნდური პირველობაც მათ ხვდათ. თბილისის გუნდმა 13.900 ქულა შეაგროვა. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ქუთაისისა და აჭარის გუნდებმა, პირველს 9.855 ქულა აღმოაჩნდა, მეორეს — 8.217 ქულა.

პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა აჭარის გუნდის წარმომადგენელმა ა. ჭავახიშვილმა — 5.157 ქულა.

კრივში ჩემპიონები გახდნენ: მ. მიქოიანი, ო. ტიტვინიძე, ხ. ანტონდი, ი. საველიევი, გ. ცხადაია, გ. შახსუვარიანი, ზ. გუნია, ი. მისტოკოპულო, დ. კვაჭაძე, შ. ხოსიაური, ა. ნიკოლაძე. გუნდურ ასპარეზობაში თბილისელებმა გაიმარჯვეს.



ხურათებზე: სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონები — მარცხნივ — მ. ბოგუსი; მარჯვნივ — რ. სიხარულიძე.

ფოტო ბ. კამენსკისა.

მატჩები და შედეგები

კვირას შედა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ოთი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

დონის როსტოვში ადგილობრივი სკა-ს წინააღმდეგ თამაშობდა ალმა-ატის „კაირატი“. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, გაიმარჯვეს ალმაატელებმა.

ლვოვში ერთმანეთს შეხვდნენ დონეცკის „შახტიორისა“ და ლვოვის „კარპატის“ გუნდები. წარმატება ლვოველებს ხვდათ 1:0.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 25 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	9	6	3	0	10-1	15
„არარატი“ (ერ.)	9	5	3	1	13-4	13
„ნეფტჩი“ (ბ.)	8	3	4	1	14-8	10
„ზარია“ (ვ.)	9	3	4	2	8-5	10
„დინამო“ (მ.)	8	2	6	0	5-3	10
„კაირატი“ (ალმ.)	9	4	2	3	10-10	10
„დინამო“ (თბ.)	9	4	2	3	6-8	10
ცსკა	9	3	3	3	8-8	9
„ტორპედო“ (მ.)	9	1	6	2	2-3	8
„კარპატი“ (ლვ.)	8	2	3	3	7-9	7
„დინამო“ (მნ.)	9	1	5	3	10-12	7
„ზენიტი“ (ლ.)	9	1	5	3	4-7	7
„სპარტაკი“ (მ.)	9	1	5	3	7-11	7
„შახტიორი“ (დ.)	9	3	0	6	5-7	6
„პახტაკორი“ (ტ.)	8	2	2	4	6-14	6
სკა (როსტ.)	9	1	3	5	7-12	5

ნაკრები ძალას ცდის

კვირას მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირის კლუბების ნაკრები და ალჟირის ახალგაზრდული ნაკრები. წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ ანგარიშით 7:0 (4:0). ამ მატჩში 4 ბურთი ბანიშვილიმ გაიტანა.

„ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“

ქუთაისი. (საკ. კორ.). გუშინ ქუთაისში შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ოდესის „ჩერნომორეცისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. გაიმარჯვეს ოდესელებმა 2:1.

შ. ჯავახაძე.

ს ხ ვ ა გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ლეჯარის ბიზნესი

● დანაშაული და სასჯელი

მეტრო „ბაუმანსკაია“ მოსკოვში. ორი ულვაშა კაცი, სათვალეები რომ ეკიდათ და ქუდები ჩამოეფხატათ, მივიდა კაცთან, რომელიც აშკარად ვიღაცას ელოდებოდა.

— თქვენ ჭკადუა ხართ?

— დიახ.

— ფული ჩამოიტანეთ?

— ჩამოვიტანე.

— ძალიან კარგი, აი ბილეთი.

— ვფიქრობ, რომ ჯერ ბილეთი უნდა შევამოწმოთ, — მოდუშულმა უთხრა ჭკადუამ.

— რა თქმა უნდა.

ყველანი ერთად წავიდნენ უახლოეს შემნახველ სალარაში და იქ წარდგინეს ლატარიის 05467 სერიის № 155 ბილეთი.

— მოგილოცავთ, — უთხრა კონტროლიორმა, — „ვოლგა“ მოგიგიათ.

— გაიდელოს, — წყნარად წარმოთქვა კაკვასიელმა, როცა ბედნიერი ბილეთის მფლობელნი ქუჩაში გამოვიდნენ, და იქვე ჩაუთვალა 11.500 მანეთი. დანარჩენ 500 მანეთს ორიოდე დღეში გამოგიგზავნითო, დაპირდა.

ლატარიის ბილეთი რომ გაყიდეს, ორმა ქუდოსანმა სწრაფი ნაბიჯით გასწია დაბლა ტრანზეის ხაზით და მალე მიიმალა ვიწრო შესახვევში. აქ მათთან მივიდა მესამე.

თაღლითებმა გადაყარეს ამ შემოხვევისათვის მომარაგებული სათვალეები, ქუდები, პარიკები და ულვაშები და თან ყალბი პასპორტებიც მიაყოლეს. ჩანთაში ქვები ჩაადგეს და მდინარეში გადაგდეს.

ტელეგრაფში მათ სწრაფად შეათითხნეს დეპეშა ჭკადუას სახელზე და გაგზავნეს ზუგდიდში, სადაც ჭკადუა ცხოვრობდა, დეპეშაზედან ჩანდა, რომ მყიდველმა ყალბი საქონელი შეიძინა და სალაროში მოგების მიღებაზე მისი წარდგენა საჭირო იყო. ამრიგად, დამნაშავეებმა თავი უვნებელყვეს. მილიციაში ჭკადუა, ცხადია, არ წავა. თვითონ კი აბა სინჯოს და იპოვნოს გამყიდველები.

...მაგრამ ამ ამბავს ასე მალე დამთავრება არ ეწერა. თუმცა, ზუგდიდელმა ელექტრიკოსმა ა. თ. ჭკადუამ უკვე იმედი დაკარგა ყალთაბანდების ძებნაში და შინ დაბრუნდა, შეურიგდა დიდი თანხის დაკარგვას.

ერთხელ, ეს უკვე ზაფხულში იყო, მასთან მიირბინა ნაცნობმა ადგილობრივი ავტოსადგურიდან და ალელვებულმა უთხრა:

— გესმის, შენ „ვოლგის“ ყიდვა გინდოდა? არის გამყიდველი. წავიდეთ.

ავტოვაგზალთან მას გააცნეს დარბაისლური გარეგნობის მაბაკაცი, რომელმაც თავი დააკოსმა. მან კოზლოვს. მკლავში ხელი სტაცა და მუქარით უთხრა:

— მთელ ღამეს გიდარაჯებდი, არა მძინებია შენი მიზეზით, შე თაღლითო! აბა წადი ფული!

ჭკადუამ კოზლოვი თავისთან შინ მიიყვანა, იქ ფარდულში დაამწყვდია და ჩაკეტილი ჰყავდა რამდენიმე დღეს, სანამ არ დათანხმდა მასთან ერთად წასულიყო ლენინგრადში თავისი თანამონაწილეების საძებნელად.

ახლა კი დროა უფრო ახლოს გავიცნოთ ლატარიის ამ ოპერაციის მონაწილენი. დავიწყოთ სახელა კოზლოვად. ლენინგრადიდან იყო ჩამოსული.

კოზლოვმა ჯიბიდან ამოიღო ლატარიის ახალთახალი ბილეთი. ჭკადუას სუნთქვა შეეკრა. ნომერი და სერია იგივე იყო. მან მეფილვარება დასძლია და სოხოვა დაენიშნათ შეხვედრა მეორე დღეს სოხუმში, დღეს ფული თან არა მაქვსო. ჭკადუა ეშმაკობდა. მან პირდაპირ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რომ „ჩიტი“ თავისი ბადიდან არ გაეშვა. და დაკარგული ფული დაებრუნებინა.

ჭკადუასთან შეხვედრის შემდეგ კოზლოვმა რაღაც შეშფოთება იგრძნო. გადაწყვიტა ლენინგრადში წასულიყო პირველივე დილის თვითმფრინავით. მაგრამ აეროპორტში ზიდ სალაროსთან მიუსწრო ჯაჭვრებულმა ზუგდიდელმა ელექტრიკოსმა ა. თ. ჭკადუამ უკვე იმედი დაკარგა ყალთაბანდების ძებნაში და შინ დაბრუნდა, შეურიგდა დიდი თანხის დაკარგვას.

ერთხელ, ეს უკვე ზაფხულში იყო, მასთან მიირბინა ნაცნობმა ადგილობრივი ავტოსადგურიდან და ალელვებულმა უთხრა:

— გესმის, შენ „ვოლგის“ ყიდვა გინდოდა? არის გამყიდველი. წავიდეთ.

ავტოვაგზალთან მას გააცნეს დარბაისლური გარეგნობის მაბაკაცი, რომელმაც თავი დააკოსმა. მან კოზლოვს. მკლავში ხელი სტაცა და მუქარით უთხრა:

— მთელ ღამეს გიდარაჯებდი, არა მძინებია შენი მიზეზით, შე თაღლითო! აბა წადი ფული!

ჭკადუამ კოზლოვი თავისთან შინ მიიყვანა, იქ ფარდულში დაამწყვდია და ჩაკეტილი ჰყავდა რამდენიმე დღეს, სანამ არ დათანხმდა მასთან ერთად წასულიყო ლენინგრადში თავისი თანამონაწილეების საძებნელად.

ახლა კი დროა უფრო ახლოს გავიცნოთ ლატარიის ამ ოპერაციის მონაწილენი. დავიწყოთ



სახელა კოზლოვად. ლენინგრადიდან იყო ჩამოსული.

კოზლოვმა ჯიბიდან ამოიღო ლატარიის ახალთახალი ბილეთი. ჭკადუას სუნთქვა შეეკრა. ნომერი და სერია იგივე იყო. მან მეფილვარება დასძლია და სოხოვა დაენიშნათ შეხვედრა მეორე დღეს სოხუმში, დღეს ფული თან არა მაქვსო. ჭკადუა ეშმაკობდა. მან პირდაპირ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რომ „ჩიტი“ თავისი ბადიდან არ გაეშვა. და დაკარგული ფული დაებრუნებინა.

ჭკადუასთან შეხვედრის შემდეგ კოზლოვმა რაღაც შეშფოთება იგრძნო. გადაწყვიტა ლენინგრადში წასულიყო პირველივე დილის თვითმფრინავით. მაგრამ აეროპორტში ზიდ სალაროსთან მიუსწრო ჯაჭვრებულმა ზუგდიდელმა ელექტრიკოსმა ა. თ. ჭკადუამ



ტანსმდებოდნენ გარეგნების შესახებ. რა თქმა უნდა, ფულს კოვუნენკოს აძლევდნენ.

ის სანი ვინღა იყვნენ, ჭკადუა „ბაუმანსკაიას“ მეტროსთან რომ მოგატყუეს? ერთი მათგანი, ვ. მ. საკაიანი, მექანიკოსად მუშაობდა სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში, მეორე, ვ. ვ. კოკინი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერი იყო, ვ. მ. გურსკი საერთოდ არსად არ მუშაობდა. იგი ამ ჭრილ კომპანიაში მეთაურად ითვლებოდა.

იყვნენ კიდევ უფრო ვრცელფეხა ბაცაცებიც. ისინი, ვინც ბილეთზე და მათს ადგილას სპეციალური ალიბეთი სვამდნენ იმ ბილეთის ნომრებსა და სერიებს, რომელსაც ხვდა მოგება — ავტომობილი „ვოლგა“. შემდეგ კი სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდოდნენ, რომ თავიანთი ბიზნესი ეკეთებინათ.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახსრეფიტის რესპუბლიკური სამმართველოს ექსპერტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლატარიის ყველა ყალბი ბილეთი დროზე აღმოაჩინეს და მოგებანი ამ ბილეთებით, ცხადია, არ გაცემულა. მაგრამ ყალთაბანდები ამაზე იმედს არც ამყარებდნენ. ისინი ეძებდნენ ისეთ დოყლაპიებს, როგორიც იყო ჭკადუა და მისი მსგავსი, საერთოდ რომ ვთქვათ, არც თუ უცოდველი ადამიანები. აშკარად რომ იცოდნენ ავტომობილი „ვოლგა“ 5.600 მანეთი ღირსო, ისინი ბილეთში იხდიდნენ ორმაგ ფასს, ხან კი მეტსაც. და არც ერთ მათგანს მილიციაში არ განუცხადებია, ჯაბრიყვებული რომ აღმოჩნდა. მილიციამ თვითონ ეპოვნა „დაზარალებულნი“.

გამოშკარავება, როგორც ეს ხშირად ხდება, მოულოდნელი იყო. ერთხელ ლენინგრადში ყალთაბანდებმა 13.500 მანეთად მიჰყიდეს ლატარიის ყალბი ბილეთი ერევნელ შოფერ ბ. გ. ლარიბიანს. შეძენილი გასარეკლუმა მან მაშინვე წარადგინა ბილეთი უახლოეს შემნახველ სალაროში, იმ მიზნით, რომ ნანატრი „მოგება“ მიეღო. რამდენიმე დღის შემდეგ კი მას შინ მიუკაკუნეს სისხლის სამართლის სამძებრო გამყოფილების თანამშრომლებმა.

ასე მოხდა საბრალდებულო სკამზე ყველა ის პირი, ვინც გარეული იყო ამ სისხლის სამართლის ისტორიაში.

ი. გრაჩოვი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ლენინგრადი.

(გაზ. „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“, 22 მაისი).

ნაირ-ნაირი

ზღვის ლომისა და ზვიგენის ორთაბრძოლა

ამ იშვიათ ორთაბრძოლას შეესწრნენ თევზსაჭერი ტრაულერის „ორიონის“ მეზღვაურები, რომლებიც თევზს იჭერდნენ ატლანტიკის ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ტრაულერის ქიმთან წყალი ისე დუღდა და გადმოდუღდა, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში ხახადაღებული ხუთმეტრიანი ზვიგენი გამალებით ეხეხმოდა თავს ზღვის ლომს, მაგრამ იგი მოხერხებულად უსხლტებოდა.

მეზღვაურების სიმპატიები ზღვის ლომის მხარეზე იყო. და მან კიდეც გაამართლა მათი იმედები. მოულოდნელად შემობრუნდა და ზვიგენს ფერდში საშინელი დარტყმა აგემა. გაბრუებული მტაცებელი გულალმა ამოტრიალდა და ლომის ბასრმა კბილებმა ზვიგენის ფერდიდან ხორცის საკმაოდ დიდი ნაჭერი მოგლეჯეს. წყალი სისხლით შეიღება. ორთაბრძოლა დამთავრდა.

(საკდესი).

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 39-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1971 წლის 15 მაისს ქალაქ ფრუნზეში.

მოგება ხვდა სესხის ოცდათოთხმეტიანე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100282	30*)	500	126553	15*)	500	167856	1—50	100
100378	1—50	40	126846	34*)	1.000	168053	1—50	40
100473	34*)	500	127859	22*)	1.000	169153	15*)	500
100850	13*)	500	128818	17*)	500	170253	1—50	40
101332	10*)	500	129292	1—50	40	170748	20*)	500
101365	49*)	500	130222	1—50	40	171798	11*)	500
101398	16*)	500	130388	02*)	500	172681	1—50	100
101973	1—50	100	132132	09*)	1.000	173167	1—50	100
102191	36*)	500	132290	31*)	500	173407	1—50	100
102326	1—50	40	134450	46*)	500	174838	02*)	1.000
102561	10*)	500	134504	47*)	5.000	175116	18*)	500
102605	33*)	500	134802	29*)	500	176374	1—50	100
102805	35*)	2.500	135397	07*)	500	176482	24*)	2.500
103291	11*)	500	136942	31*)	1.000	177330	25*)	2.500
103637	37*)	500	139455	29*)	500	177526	47*)	500
105045	45*)	2.500	139930	1—50	100	177964	40*)	500
105556	1—50	40	140118	23*)	500	178730	1—50	40
105725	1—50	100	141456	11*)	500	178967	11*)	500
106169	1—50	40	142854	09*)	1.000	179215	1—50	40
106199	23*)	500	143754	40*)	2.500	179256	20*)	500
106723	25*)	500	144283	05*)	500	180024	44*)	500
106814	1—50	40	144401	1—50	40	181036	12*)	500
106825	1—50	40	144511	29*)	500	181584	43*)	500
108186	26*)	500	144868	1—50	40	181891	1—50	100
108295	32*)	500	145591	03*)	500	182855	26*)	500
108627	1—50	40	147137	22*)	1.000	183738	1—50	100
109756	1—50	40	147700	1—50	40	183881	32*)	1.000
110128	1—50	40	148666	23*)	500	185430	23*)	500
110417	44*)	1.000	149068	15*)	500	185632	1—50	100
111124	1—50	40	149967	45*)	500	185637	09*)	1.000
111363	1—50	40	150521	11*)	500	185838	1—50	100
111909	24*)	500	150809	02*)	500	185951	03*)	1.000
112808	08*)	1.000	151097	49*)	500	186858	02*)	500
113285	05*)	500	151536	30*)	500	187064	35*)	500
113624	42*)	500	151696	15*)	1.000	187341	34*)	500
115864	1—50	40	151725	21*)	500	187405	1—50	40
116142	12*)	500	151755	22*)	500	187560	1—50	40
116621	05*)	500	151868	36*)	500	187602	1—50	40
117575	37*)	1.000	151927	30*)	500	188066	06*)	500
118284	33*)	500	152670	06*)	1.000	189229	1—50	100
118312	40*)	500	153958	23*)	5.000	189479	30*)	500
118680	05*)	500	154348	15*)	500	189728	26*)	500
118856	42*)	500	154442	07*)	500	189795	48*)	500
119249	04*)	500	154590	01*)	500	190101	08*)	500
119446	23*)	500	154655	48*)	500	190555	33*)	500
120502	1—50	40	155110	1—50	40	191052	1—50	40
120643	43*)	1.000	155399	45*)	500	192799	28*)	500
120899	32*)	500	155536	44*)	1.000	192981	1—50	40
120961	35*)	500	155574	01*)	500	193475	1—50	40
121223	18*)	500	156473	1—50	40	193551	1—50	40
121458	48*)	500	159838	11*)	500	193585	1—50	40
121757	23*)	1.000	159840	1—50	40	193996	15*)	500
122424	12*)	500	160504	28*)	500	194090	24*)	500
122472	20*)	500	160983	05*)	500	194942	17*)	500
122564	1—50	40	161851	32*)	500	195339	34*)	500
122692	35*)	500	161875	45*)	1.000	196529	29*)	500
122792	38*)	500	161972	1—50	100	198187	24*)	500
124081	25*)	1.000	162733	17*)	500	198229	1—50	100
124275	1—50	40	163692	41*)	500	198457	38*)	500
124557	19*)	500	165509	1—50	40	198889	22*)	500
125481	23*)	500	166710	40*)	500	199020	48*)	500
126215	13*)	500	166876	04*)	500	199460	23*)	500
			167281	13*)	500	199699	1—50	40

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოვებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ფრუნზეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. პატრინი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების—99-55-01, ინფორმაციის—93-16-90, სატირისა და ფ ლეტონის—99,60-21, უცხოეთის—93-95-97, წერილების—99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЦ 04663

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ტელევიზია

25 მაისი

პირველი პროგრამა

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „ფიქრები თანამედროვეზე“, 12.15 — ქართული მხატვრული ფილმი — „დიბრუნებული ღიმილი“, 13.40 — ექიმთა დასახმარებლად, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — პროგრამა ბავშვებისათვის: „იყო და არა იყო რა“... 18.30 — „ჯადოსნური სალებავი“, 19.05 — ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „კანონი და კანონიერება“, 20.40 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „თბილისი — გაზაფხული-71“, 22.00 — საქართველოს ფირადი ტელევიზია — „კინოობიექტივი“.

მეორე პროგრამა

19.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა „საგამოცდო ბილეთების შინაარსი და მოცულობა“ (მეათეკლასელთათვის), 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 21.00 — მხატვრული ფილმი „ოქროს ხელთათმანის რაინდები“ (მეორე სერია).

26 მაისი

პირველი პროგრამა

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.25 — კინოპროგრამა, 12.00 — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — გერმანული მხატვრული ფილმი — „ეკვემიტანილია დოქტორი როტი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ჩვენი კონკურსი“, 18.55 — გადაცემა — „დეპუტატების კანდიდატები“, 19.15 — მხატვრული ფილმი — „დასაწყისი“, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — გადაცემა — „ავადმყოფი დოლარი“, 21.30 — „დრო“ საინფორმაციო პროგრამა, (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების სატელევიზიო რესპუბლიკური ფესტივალი.

მეორე პროგრამა

19.00 — სკოლების დასახმარებლად — ბიოლოგია (მეათეკლასელთათვის), 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 21.00 — მხატვრული ფილმი „საიდუმლო მისია“.

თეატრები

25 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ